**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**მეცნიერებათა და ხელოვნების ფალუტეტი**

**პროგრამა: გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება**

**საფეხური: სამაგისტრო**

**შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის პირობები  და შეფასების სისტემა**

საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველმა  უნდა გაიაროს შიდასაუნივერსიტეტო  გამოცდა:

- ზეპირი გამოცდა / გასაუბრება (გერმანულ ენაზე).

კანდიდატი ფასდება 100 ქულიანი სისტემით. კანდიდატი უნდა ფლობდეს გერმანულ ენას B2 დონეზე. ზეპირი გამოცდა გაიმართება დარგობრივ კომისიასთან გერმანულ ენაზე.

**ზეპირი გამოცდა:**
ზეპირ გამოცდაზე კანდიდატმა უნდა გამოავლინოს:

1. დარგობრივი ცოდნა არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია(20 ქულა);
2. მოტივაცია და სამომავლო ხედვა (20 ქულა);
3. მიღწევები და გამოცდილება (პროფესიული, აკადემიური და სხვა) (10 ქულა)
4. კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარი - ქართულ და გერმანულ ენებზე გამართული კომუნიკაციის უნარი; აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უნარი - (10 ქულა)
5. ენობრივი კომპეტენცია B2 დონეზე - დარგობრივი გერმანული ტექსტის გაგების და საკითხის გადმოცემის უნარი (40 ქულა).

**შეფასების კრიტერიუმები**

| **დარგობრივი ცოდნა და არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია** | **ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| ზოგადი ცოდნა დარგის შესახებ (ძირითადი ცნებები, მიმართულებები, ამოცანები) | | **10** |
| დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა | | **10** |
| | **ჯამი** | **20** |

| **მოტივაცია და სამომავლო ხედვა** | **ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| მოტივაციის მკაფიოდ და ნათლად წარმოჩენა | | **5** |
| აპლიკანტის საგანმანათლებლო მიზნების და პროგრამის მიზნების თანხვედრა | | **5** |
| პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების გააზრება | | **5** |
| პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენება პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან | | **5** |
| | **ჯამი** | **20** |

| **მიღწევები და გამოცდილება** | **ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| მიღწევების მრავალფეროვნება (მაგ. გამოქვეყნებები, პროექტები, მათ შორის აკადემიური პროგრამის ფარგლებში, გრანტები, ჯილდოები, სერტიფიკატები, სამუშაო გამოცდილება და ა.შ.) | | **3** |
| აპლიკანტის მიერ თავისი მიღწევების შეფასება/რეფლექსია | | **3** |
| სფეროში მუშაობის გამოცდილება | | **4** |
| | **ჯამი** | **10** |

| **კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარი** | **ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| ქართულ და გერმანულ ენებზე გამართული კომუნიკაციის უნარი | | **5** |
| აუდიტორიასთან კავშირის დამყარების უნარი | | **5** |
| | **ჯამი** | **10** |

| **გერმანული ენის ცოდნა** | **ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| გერმანული ენის ცოდნა B2 დონეზე - პროფესიული/დარგობრივი ტექსტის გაგების უნარი | | **20** |
| პროფესიული/დარგობრივი ტექსტის შინაარსის გადმოცემის უნარი | | **20** |
| | **ჯამი** | **40** |
| | | |
| | **სულ ჯამი:** | **100** |

იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტის მიერ ზეპირ გამოცდაზე მიღებული ქულა იქნება 51 ქულაზე ნაკლები, ანუ დადებით შეფასებაზე ნაკლები, იგი გამოირიცხება ჩასარიცხ კანდიდატთა სიიდან.